ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 101

3 სექტემბერი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
14:00 სთ

მოწვეული სტუმარი:

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ალექსანდრე ხუჯაძე,მიხეილ კაკაურიძე

ქონების მართვის და საფიონანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.
   (№11-01252451906 საკრ.№15-032524524-03 2/09/2025)
   (№11-01252453215 საკრ.№15-032524549-03 2/09/2025)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იზრდება მესამე კვარტლის ასიგნებების გეგმა შემდეგ პროგრამებში:
„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 01 01 09) – 354540 ლარით,
„გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში“(პროგ/კოდი 01 01 10)- 334982 ლარით.
„გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში“(პროგ/კოდი 01 01 14)- 100 000 ლარით.
აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების შემდეგ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოებისათვის.
იზრდება ასევე „კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 11)- 200 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 12)-581 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 16)- 71 000 ლარით.
სკვერების და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოების, ასევე ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად, ასევე რაიონის ტერიტორიაზე არსებული უსახური ავტოფარეხების, დაზიანებული შენობა-ნაგებობების დროებითი წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების, დემონტაჟისა და სხვა თანმდევი სამუშაოებისათვის , აგრეთვე ხეების სხვლა-ფორმირების სამუშაოებისათვის.
მესამე კვარტლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების გამო, ვაკის რაიონული გამგეობა ითხოვს პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 05 01 12) ასიგნებების 500 000 ლარით გაზრდას.
იზრდება ასევე ქვეპროგრამის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 16 09) სლიური ასიგნება 100 000 ლარით, შეაბამისად მცირდება) ქვეპროგრამის „სხვა სოციალური (დახმარების)ღონისძიებები დიდუბის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 18 09) წლიური ასიგნება.
თბილისის მასშტაბით გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ მხატვრული მინათების ქსელის ექსპლუატაციის მომსახურების სამუშაოებისათვის იზრდება „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“(პროგ/კოდი 02 05) პროგრამის მესამე კვარტლის ასიგნებები - 1 550 000 ლარით.
გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გლდანისა და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები ვერ ახორციელებს საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვას ელ.ტენდერების საშუალებით, ადრე

დაგეგმილი გამარტივებული შესყიდვების ნაცვლად. განმეორებითი ბაზრის კვლევების და სხვა ობიექტური მიზეზების გამო ტენდერების გამოცხადება დროში გაიწელა, ხოლო ამჟამად მიმდინარე სატენდერო პროცედურების გათვალისწინებით მე-3 კვარტალში დაგეგმილი სამუშაოები სრულად ვერ განხორციელდება.
აღნიშნული გათვალისწინებით მცირდება ქვეპროგრამის „თბილისის საჯარო სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში" (პროგ/კოდი 07 052 06 04) მესამე კვარტლის ასიგნება 1 048 000 ლარით და „თბილისის საჯარო სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში" (პროგ/კოდი 07 052 06 01) მესამე კვარტლის ასიგნება 761 000 ლარით, თანხის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.
იზრდება ასევე „სარეზერვო ფონდის"(პროგ/კოდი 10 22) მესამე კვარტლის ასიგნება 100 000 ლარით.
საერთო ჯამში გადასახდელების მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 1 560 311 ლარით. დაბალანსება ხდება მესამე კვარტლის შემოსავლების შემცირებით და ნაშთის ცვლილების ზრდით.

მომხრე-5 თავი შეიკავა-0 წინააღმდეგი-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**